ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 18 იანვრის

რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

1.,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის N 30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

ვარლამ ჭიპაშვილი

2. „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

3. „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 05 იანვრის N 3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: პავლე კიკალიშვილი

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

მომხს: ინგა ლურსმანაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარის

მოვალეობის შემსრულებელი დავით კიკნაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 18 იანვრის რიგარეშე სხდომის
ოქმი N2

2023 წლის 18 იანვარი

დაბა ხარაგაული

9 აპრილის ქუჩა #15

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი - დავით კიკნაძე,

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები:

ამირან ოქრომჭედლიძე პაატა გოგოლაძე, მარინა ხვედელიძე, ბესიკ კვირიკაშვილი, პავლე კიკალიშვილი, შმაგი ხიჯაკაძე, ოთარ ლურსმანაშვილი, შალვა ლურსმანაშვილი, ირმა ვაქერ-სებისკვერაძე, უშანგი ბერაძე, ბაქარი ბარბაქაძე, კიაზო გამრეკელაშვილი, ვერა ოდიკაძე, მერაბ ტალახაძე, ლენა აბაშიძე, ვახტანგ ტალახაძე, ავთანდილ ვეფხვაძე, ეკატერინე შველიძე, კობა გოგსაძე, ირმა ვეფხვაძე, ომარი გაგოშიძე სულ საკრებულოს 23 წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენლები:

ვარლამ ჭიპაშვილი - მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე,

ვლადიმერ გელაშვილი მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

კახაბერ გოლუბიანი მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი

ინგა ლურსმანაშვილი მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:

ლენა კალანდაძე– საკრებულოს აპარატის უფროსი,

ზაალ ორბელაძე- საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში,

მარიამ შარიქაძე - დამხმარე მოსამსახურე

ივანე ჭიპაშვილი საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

ე. შავიძე - ა.ა.ი.პ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრი"-ს დირექტორი

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის დავით კიკნაძის ინფორმაცია, მან საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი

დღის წესრიგი

1.,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის N 30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი, ვარლამ ჭიპაშვილი

2. „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

3. „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 იანვრისის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: პავლე კიკალიშვილი

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

მომხს: ინგა ლურსმანაშვილი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 23 წევრი

მომხრე 23
წინააღმდეგი 0

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის ვარლამ ჭიპაშვილის ინფორმაცია საკითხზე -,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის N 30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

პ. კიკალიშვილმა, საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, რომელმაც აღნიშნა, რომ საკითხი განიხილა კომისიის სხდომაზე და კომისიის წევრები მხარს უჭერენ წარმოდგენილ ცვლილებებს.

ო. გაგოშიძემ დასვა საკითხი ინდმეწარმეების საჯარიმო თანხის 5% - მდე გაზრდასთან დაკავშირებით

დ. ხაჩიძემ დასვა საკითხი წაქვის გზის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით

ვ. ჭიპაშვილმა დ. ხაჩიძეს უპასუხა, რომ საკითხი დადებითად არის გადაწყვეტილი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი საბიუჯეტო ცვლილებებთან დაკავშირებით.

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 23 წევრი

მომხრე 23

წინააღმდეგი 0

საკრებულომ დაადგინა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის პავლე კიკალიშვილის ინფორმაცია საკითხზე - „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 იანვრისის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის).

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა

,,სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა კომისიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 23 წევრი

მომხრე 23

წინააღმდეგი 0

საკრებულომ დაადგინა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის კახაბერ გოლუბიანის ინფორმაცია საკითხზე - „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის).

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 23 წევრი

მომხრე 23

წინააღმდეგი 0

საკრებულომ დაადგინა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის **ი. ლურსმანაშვილის** ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ. (თან ერთვის).

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა

,,სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 23 წევრი

მომხრე 22

წინააღმდეგი 1

საკრებულომ დაადგინა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი **დავით კიკნაძე**